11608/3-37/21 2 24112021

11608/3-37/21
24-11-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, საქართველოს სახალხო დამცველად არჩევიდან დღემდე, ქალბატონი ნინო ლომჯარიას მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონახულების მიზნით პირადად განხორციელებული ყველა ვიზიტის ჩამონათვალი, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ვინაობის მითითებით.

გთხოვთ, ასევე მიუთითოთ, სახალხო დამცველის ვიზიტის მომენტში, რომელი მათგანი შიმშილობდა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
რატი იონათამიშვილი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge

KA010147536472321

№16972

28 / დეკემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ რატი იონათამიშვილს

ბატონო რატი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი მომართვის (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის № 01/32052; თარიღი: 24.11.2021) პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია ქალბატონი ნინო ლომჯარიას მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონახულების მიზნით პირადად განხორციელებული ყველა ვიზიტის ჩამონათვალი, დანართის სახით გიგზავნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრი

რატი ბრეგაძე